SAPPORO'72

# „თეთრმა თამაშებმა“ სტარტი აიღო
# პირველი მედლები

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 25 (4535)

1972 წ. 5 თებერვალი, შაბათი. ფასი 2 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან









## ოლიმპიადა — ოლიმპიელებისთვის, ოლიმპიადა — საყოველთაო

ეს მომენტი იყო ნამდვილი აპოთეოზი ზამთრის XI ოლიმპიური თამაშების გახსნის გრანდიოზული, ლამაზი დღესასწაულისა, რომელიც 53924 მაყურებლის თვალწინ მოეწყო „მაკომანაის“ სტადიონზე. ზეიმს თვალს ადევნებდა ასობით მილიონი ტელემაყურებელი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. საპოროელმა მოსწავლემ ხიდეკი ტაკადამ, რომელსაც ოლიმპიური ჩირაღდანი გადასცა მისმა თანატოლმა ფიგურისტმა გოგონამ იცუმი ცუძიმურამ, ჩქარი ნაბიჯით აიარა კიბის 103 საფეხური ბრინჯაოსგან ჩამოსხმული უზარმაზარი თასისკენ. კიდევ ერთი წამიც და სტადიონის თავზე ოლიმპიური ცეცხლის ენები აბრიალდა. ეს ცეცხლი 13 თებერვლის საღამომდე არ ჩაქრება. მაშინ ოლიმპიადა დაიხურება.

თითქმის 14 ათასი კილომეტრი გაიარა 28 დეკემბერს ძველ ოლიმპში, ზევსის ტაძრის ნანგრევებზე დანთებულმა ცეცხლმა. ამომავალი მზის ქვეყანაში იგი ახალწლის ღამეს ჩამოიტანეს. „ცეცხლოვან ესტაფეტაში“ იაპონიის გზებზე თითქმის 17 ათასი კაცი მონაწილეობდა. ბოლო მეტრებზე ჩირაღდანი 16 წლის მოსწავლეებს ჩააბარეს. ამ გადაწყვეტილებაში ღრმა აზრი იყო ჩაქსოვილი: ახალგაზრდობა ყველა ქვეყნის იმედის სიმბოლოაო.

ჰოკაიდოზე ამინდი დღეში ასჯერ იცვლება, მაგრამ ახლა ისიც თითქოს საზეიმო პროგრამას უწყობდა ხელს: მზე ანათებდა, ლამაზად ბრწყინავდა თეთრი, ქათქათა თოვლი, რომლის ფონზეც ოლიმპიური ზეიმის ფერები კიდევ უფრო ნათელი და საზეიმო ჩანდა.

ზუსტად 11 საათზე, როცა მოსკოვში ჯერ ალიონი არც დამდგარიყო, „მაკომანაის“ ყინულზე დაგებულ პლასტიკატის ბილიკზე საზეიმო ცერემონიალის პირველმა მონაწილეებმა შედგეს ფეხი. ტრადიციისამებრ, ოლიმპიელთა საზეიმო სვლა ოლიმპიადის სამშობლოს წარმოგზავნილებმა — საბერძნეთის სპორტსმენებმა გახსნეს. აგუგუნებული ტრიბუნების წინ ჩაიარეს 35 ქვეყნის წარმომადგენლებმა. ზოგ დელეგაციაში 100-ზე მეტი კაცი იყო. ასეთი გუნდები გამოგზავნეს სსრ კავშირმა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, დასავლეთ გერმანიამ. მრავალრიცხოვანია შვეციის, ნორვეგიის, ფინეთის, პოლონეთისა და, რაღა თქმა უნდა, იაპონიის ნაკრები გუნდები. მაყურებლებმა ზოგიერთი „პაწია გუნდიც“ იხილეს. მაგალითად, უნგრეთიდან მხოლოდ ფიგურული ციგურაობის ოსტატი ჟუჟა ალმაში ჩამოვიდა. ბუნებრივია, თავისი ქვეყნის ალამიც მას მოჰქონდა.

ოლიმპიური გეოგრაფიის დიდ მასშტაბს მარტო მონაწილე ქვეყნების რიცხვი როდი ადასტურებს. ამას მოწმობს სპორტსმენთა კოსტიუმებიც: არგენტინელთა ფართოფარფლიანი შლაპები, ტრადიციული ესპანური ლაბადები, კანადელთა თეთრ-წითელი პალტოები...

ოლიმპიადის სარბიელზე ოთხი კონტინენტია წარმოდგენილი. 1968 წელს გრენობლში ხუთივე კონტინენტის სპორტსმენები ასპარეზობდნენ. მაშინ აფრიკიდან საფრანგეთში ჩავიდნენ მაროკოელი სამთომოთხილამურენი. ისინი იაპონიაშიც აპირებდნენ გამოსვლას, მაგრამ ბოლოს უარი თქვეს ასეთ შორეულ მოგზაურობაზე. სამაგიეროდ, საპოროში გამოდის დებიუტანტი — ფილიპინების ნაკრები, თუმცა ამ ქვეყნის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი მხოლოდ ზეპირი გადმოცემით თუ იცნობს ზამთრის სპორტს. ამ ცხელი ქვეყნიდან საპოროში ჩამოვიდა ორი ახალგაზრდა სლალომისტი. მათ ზამთრის სპორტი შეიყვარეს შვეიცარიაში, სადაც ფილოლოგიასა და უცხო ენებს ეუფლებიან. ფილიპინელებს საპრიზო ადგილებზე გასვლის იმედი არა აქვთ. ისინი, ჩვენი სპორტული კლასიფიკაციის ენით რომ ვთქვათ, ოსტატობის კანდიდატებიც არ არიან. ამ ახალგაზრდებს ჯერჯერობით მთააგონებს მხოლოდ პიერ დე კუბერტენის სიტყვები: „მთავარია არა გამარჯვება, არამედ შეჯიბრებაში მონაწილეობა“...

სამაგიეროდ, თავის მიზნებს არ მალავს ლეგენდარული ფინელი მოთხილამურე ვერო მიანტიურანტა. იგი ამ ზამთარს კვლავ დაუბრუნდა სათხილამურო ბილიკს, რათა საპოროს სარბიელზე გამოსულიყო და თავისი ჯილდოების კოლექცია კიდევ უფრო გაემდიდრებინა.

...საბჭოთა გუნდის დროშა მსოფლიო ჩემპიონს, მოსკოველ მოთხილამურე ვიაჩესლავ ვედენინს მოაქვს. სსრ კავშირის ოლიმპიურ გუნდში 107 სპორტსმენია. ისინი პროგრამით გათვალისწინებული ათი სახეობიდან ცხრაში იასპარეზებენ. ამასთან, შეჯიბრებაში პირველად მიიღებენ მონაწილეობას მოციგავეები. საბჭოთა ოლიმპიელთა გზა საპოროსკენ იოლი არ იყო. საქმე მარტო მანძილი როდია. ყოველ სახეობაში იმდენი ღირსეული სპორტსმენი ეცილებოდა ერთმანეთს, რომ თითოეული საგზური მძიმე, ნამდვილი ბრძოლის ფასადაა მოპოვებული. საბჭოთა გუნდში არიან ვეტერანებიცა და დებიუტანტებიც. კობა წაქაძისთვის, მაგალითად, ეს უკვე მეოთხე ოლიმპიადაა (იგი კორტინა დ'ამპეცოშიც გამოდიოდა 1956 წელს). მოსკოველი ფიგურისტი გოგონა მარინე სანაია 13 წლისაა...

საბჭოთა სპორტის ძლიერების სათავე მასობრიობაშია. ოლიმპიელთა ზურგს უკან მილიონობით სპორტსმენი და ფიზკულტურელი დგას. ისინი ახლა თავიანთ „ოლიმპიადებს“ ატარებენ ქალაქებსა და სოფლებში.

„მაკომანაის“ ტრიბუნებზე ოლიმპიადის საზეიმო გახსნის დროს ბევრი წარსულში სახელგანთქმული სპორტსმენი ვნახეთ. წინა ოლიმპიადების ვეტერანთაგან, თუ შეიძლება ითქვას, ყველაზე დამსახურებულია ლიდია სკობლიკოვა. იაპონიაში იგი იმიტომაც არის განსაკუთრებით პოპულარული, რომ 1963 წელს კარუიძავის საციგურაოზე ოთხივე დისტანციაზე გაიმარჯვა და მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის სახელი მოიპოვა. ახლა სახელგანთქმული სპორტსმენი მოსკოვში „ლოკომოტივის“ სპორტსკოლის მწვრთნელად მუშაობს. 1960 წელს სკობლიკოვამ სკვო-ველიში ოლიმპიადის ორი უმაღლესი ჯილდო დაიმსახურა, ოთხი წლის შემდეგ კი ინსბრუკში ზამთრის IX ოლიმპიური თამაშების გმირი გახდა — ოთხივე დისტანციაზე გაიმარჯვა. ასეთი ტრიუმფი ჯერჯერობით სხვას არავის ხვდომია წილად.

განსაკუთრებული დახასიათება არც ვ. ბობროვსა და ნ. პუჩკოვს სჭირდებათ. ახლა ისინი ცნობილი მწვრთნელები არიან, 1956 წელს კი დიდი წვლილი შეიტანეს საბჭოთა ჰოკეისტთა პირველ ოლიმპიურ გამარჯვებაში: ბობროვი სნაიპერულად ურტყამდა მეტოქის კარში, პუჩკოვი ოსტატურად იცავდა თავისი გუნდის კარს. საპოროში ისინი მწვრთნელ-მეთვალყურეთა როლში არიან.

— ჰოკეისტთა ტურნირი უთუოდ საინტერესო იქნება. შვედებმა, მაგალითად, შეიძლება სიურპრიზი შემოგვთავაზონ, — თქვა პუჩკოვმა.

— საპოროში ჰოკეისტებს განსაკუთრებით ბევრი მოულოდნელობა ელით, — დასძინა ბობროვმა.

... მაგრამ აი, სპორტსმენთა მარში დამთავრდა. მათ ესალმებიან ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის მეთაური კოგორო უემურა და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ევერი ბრენდეჯი. შემდეგ მიკროფონთან მივიდა იაპონიის იმპერატორი ხიროხიტო, რომელმაც ოლიმპიური თამაშები გახსნა.

ცნობილმა იაპონელმა მოციგურავემ კეიიტი სუძუკიმ ოლიმპიური ფიცი წარმოთქვა. მსაჯების სახელით ეს რიტუალი შეასრულა ტრამპლინიდან მხტომელთა შეჯიბრების ერთ-ერთმა არბიტრმა ფუმიო ასაკიმ.

სტადიონის ყინულზე გამოეფინა 800 ნორჩი მოციგურავე 18 ათასი ფერადი საჰაერო ბურთით. გაისმა ბრძანება და ეს ბურთები საპოროს ცას მოეფინა. მერე კი ფეიერვერკი დაიწყო.

როგორც დღესასწაულის წესია, ოლიმპიელები დღეს ისვენებენ. მხოლოდ ჰოკეისტებმა დაიწყეს თავიანთი ტურნირი წინასწარი შეხვედრებით.

ზამთრის XI ოლიმპიადა პირველ ჩემპიონებს 4 თებერვალს დაასახელებს.

ვ. დვორცოვი,
ი. ვდოვინი,
ი. ხრომოვი.
(საკდესის სპეც. კორ.).

საპორო, 3 თებერვალი.

ეს სურათები გუშინწინ ტელევიზორის ეკრანიდან გადაიღო ჩვენმა ფოტორეპორტიორმა მ. ზარგარიანმა. ზევიდან ქვევით: XI „თეთრი თამაშების“ ალმის აღმართვა; სპორტსმენთა სახელით ოლიმპიურ ფიცს დებს ცნობილი იაპონელი მოციგურავე კ. სუძუკი; სულ რამდენიმე წამიც და ახალგაზრდა ტანმოვარჯიშე ხ. ტაკადა ოლიმპიურ ცეცხლს აგიზგიზებს; ოლიმპიადის საზეიმო გახსნის ცერემონიალის ფინალი — 800 მოციგურავე ბავშვი საჰაერო ბურთებით.

### ტელემაყურებელთა საყურადღებოდ

სპორტის მოყვარულებს ვთავაზობთ ზამთრის XI ოლიმპიადის დედაქალაქიდან ტელეგადაცემების დროს დღეების მიხედვით:

5 თებერვალი — 12.00, 19.10 და 23.15.

6 თებერვალი— 11.30, 14.30 და 19.10.

7 თებერვალი — 12.00, 21.00 და 22.30.

8 თებერვალი — 12.00 და 22.30.

9 თებერვალი — 12.00 და 22.30

10 თებერვალი—12.00, 21.00 და 22.15.

11 თებერვალი—12.00 20.30 და 24.00.

12 თებერვალი — 12.00 და 19.15.

13 თებერვალი—11.00, 18.15 და 22.30.

დრო თბილისისაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოლიმპიადა, დღე მეორე

SAPPORO'72



საპოროს ზამთრის XI ოლიმპიადის პირველი ჩემპიონობა და პირველი ოქროს მედალი დაისაკუთრა ნამდვილმა სპორტულმა მებრძოლმა, 30 წლის მოსკოველმა მასწავლებელმა ვ. ვედენინმა, რომელმაც მოიგო სათხილამურო რბოლა 30 კილომეტრზე. ვედენინმა ეს დისტანცია ძლიერ თოვაში 1 საათში, 36 წუთსა და 31,15 წამში გაიარა.

ვედენინი მსოფლიო ჩემპიონია ამავე დისტანციაზე. მისი გამარჯვება იმითაც არის აღსანიშნავი, რომ მან საბჭოთა გუნდის „ოქროს ანგარიში" გახსნა. აქამდე საბჭოთა მრბოლელი ვაჟები არასდროს ყოფილან პირველნი ოლიმპიადის პირად შეჯიბრებაში. მათი პირველი და ბოლო წარმატება — ესტაფეტაში — 1956 წელს მიეკუთვნება.

საბჭოთა დელეგაცია ზეიმობს. სასიხარულოა ასეთი დიდი შეჯიბრების ასე დიდი გამარჯვებით დაწყება.

ვერცხლის პრიზიორმა, ნორვეგიელმა პ. ტილდუმმა გამარჯვებულთან თითქმის წუთი წააგო (1:37.25.30). III ადგილზეა ასევე ნორვეგიელი ი. ჰარვიკენი (1:37.32,44). საუკეთესოთა ექვსეულში შევიდნენ აგრეთვე: გ. ლარსონი (შვეცია) — 1:37.33,72, ვ. დემელი (გფრ) — 1:37.45,53, ფ. სიმაშოვი (სსრ კავშირი) — 1:38.22,50. ი. სკობოვს მე-15 შედეგი ჰქონდა (1:40.18,70), ხოლო ვ. დოლგანოვს — მე-16 (1:40.48,85).

• • •



სურათზე: ა. სხენკი.

ძალიან იშვიათი შემთხვევაა, რომ პირველ წყვილში მოხვედრილი მოციგურავის გვარი მერე შემაჯამებელი ცხრილის პირველ სტრიქონზე აღმოჩნდეს. ამჯერად კი სწორედ ასე მოხდა 5000 მეტრზე შეჯიბრებაში. ჰოლანდიელი სპორტსმენი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ა. სხენკი მთელი თავით მაღლა იდგა მეტოქეებზე.

შეჯიბრებამ „მაკომანაის" სტადიონზე 14 ქვეყნის 28 მოციგურავეს მოუყარა თავი. ახალმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა დისტანცია 7 წუთსა და 23,61 წამში დაფარა. II ადგილზე გასული ნორვეგიელი სპორტსმენის რ. გრენვოლდის შედეგია 7.28,18. ბრინჯაოს მედალი მიიღო მისმა თანამემამულემ ს. სტენსენმა — 7.33,39.

პირველ ექვსეულში შევიდნენ აგრეთვე: ი. კლასონი (შვეცია) — 7.36,17, ვ. ოლსენი (ნორვეგია) — 7.36,47, ჯ. ფერკერკი (ჰოლანდია) — 7.39,17.

მეშვიდე შედეგი ჰქონდა ვ. ლავრუშკინს (სსრ კავშირი) — 7.39,26.



• • •

სენსაციურად დამთავრდა ორჭიდელთა შეჯიბრების პირველი დღე. საშუალო ტრამპლინიდან ხტომაში შეჯიბრების შემდეგ 1970 წლის მსოფლიო პირველობის პრიზიორებიდან პრაქტიკულად ვერავინ განაცხადებს პრეტენზიას ოლიმპიურ მედალზე: მსოფლიო ჩემპიონი ლ. რიგლი (ჩეხოსლოვაკია) 24-ე ადგილზეა, შტრბსკე-პლესოს ბრინჯაოს პრიზიორი, გორკელი ვ. დრიაგინი — 35-ე ადგილზე, ვერცხლის მედლის მფლობელი, კემეროვოელი ნ. ნოგოვიცინი კი ბოლო მომენტში ავად გახდა. ლიდერობს იაპონელი ორჭიდელი ხ. ნაკანო — 220,5 ქულა. 80 მეტრზე შორს მხოლოდ ის გადახტა, ისიც სამჯერ ცდაზე. იაპონელს 10,5 ქულით ჩამორჩა ფინელი რ. მიეტინენი. ივი უფრო ძლიერია სათხილამურო რბოლაში და, როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, შეუძლია გამარჯვებისთვის აუცილებელი 1 წუთი და 10 წამი მოუგოს ლიდერს.

ოლიმპიური მედლის მოპოვების კარგი შანსი აქვს პერმელ ა. ნოსოვს, რომელიც ჯერჯერობით მესამეა — 201,3 ქულა. სსრ კავშირის ნაკრების ვეტერანის პირველი ნახტომი არც მთლად ხეირიანი იყო — 70 მ. სამაგიეროდ, მეორე და მესამე ნახტომებს კარგი შედეგები მოჰყვა და ჩათვლაშიც შევიდა.

რბოლაში საქმის გამოსწორება სულ იოლად შეუძლია სსრ კავშირის თასის მფლობელს, ლენინგრადელ მ. არტიუხოვსაც, რომელიც XIV ადგილზეა.

### ტექნიკური შედეგები

**ჩრდილოეთის ორჭიდი. 70-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომა.**

1. ხ. ნაკანო — 220,5 ქულა (82 და 81 მ).
2. რ. მიეტინენი — 210 (77,5 და 79).
3. ა. ნოსოვი — 201,3 (77,5 და 79,5).
4. უ. ველინგი (გდრ) — 200,9 (78 და 76,5).
5. კ. არაია (იაპონია) — 199,7 (76,5 და 77).
6. ი. კაცურო (იაპონია) — 195,1 (74,5 და 78).

...14. მ. არტიუხოვი (სსრკ) — 183,0.
...26. ა. ზაიცევი (სსრკ) — 158,3.
...35. ვ. დრიაგინი (სსრკ)—146,2.

• • •

ოლიმპიურ სარბიელზე პირველად სცადეს ძალა საბჭოთა მოციგავეებმა. ტეინეს მთაზე მოწყობილ ტრასაზე ისინი ბრძოლაში ჩაებნენ ამ სახეობის უძლიერეს წარმომადგენლებთან — გდრ-ის, გფრ-ის, პოლონეთის, ავსტრიისა და სხვა ქვეყნების სპორტსმენებთან. აქაც თოვდა და პირველი სერიის დაწყება ცოტა ხნით გადაიდო, მეორე კი საღამოსთვის გადაიტანეს. სტარტი ქალებმა გახსნეს. როცა ვაჟთა ასპარეზობა დაიწყო, ტეინემ ერთხელ კიდევ დაამტკიცა იაპონური ნათქვამი, რომ ამინდი ქალის გულივით ცვალებადია: მზეც გამობრწყინდა და ქარიც ჩაწყნარდა.

ლიდერობა ხელთ იგდეს გდრ-ისა და გფრ-ის ქალებმა. საბჭოთა მოციგავეებიდან საუკეთესო იყო მოსკოველი ნ. შაშკოვა, რომელმაც პირველ სერიაში XIII ადგილი დაიკავა.

ვაჟთა შეჯიბრებაში უძლიერესთა ექვსეული შეადგინეს გდრ-ისა და გფრ-ის მოციგავეებმა. ლენინგრადელი ი. ეგოროვი ჯერჯერობით ოცდამერვეა.

მოულოდნელი ამბები აქაც ხდებოდა. მაგალითად, კანადელი ნილსონი ციგიდან გადავარდა და ციგა ფინიშთან უმისოდ მისრიალდა.

• • •

ამ დღეს სავალდებულო პროგრამით გამოდიოდნენ ფიგურისტები. მოეწყო ბობსლეისტების პირველი სერიები და ბოლო შესარჩევი მატჩები ჰოკეიში.

ი. ვდოვინი,
ბ. რახოვეცკი.
(საქდესის სპეც. კორ.).
საპორო, 4 თებერვალი.



სურათზე: ვ. ვედენინი სსრ კავშირის თასზე ამას წინათ ბაკურიანში გამართული შეჯიბრების დროს.

მ. ზარუარიანის ფოტო.

---

საპორო, 3 თებერვალი. პირველი შედევი XI „თეთრ თამაშებში" ჰოკეისტთა შესარჩევი მატჩის მე-4 წუთსა და 54-ე წამზე აღინუსხა, როცა ერთმანეთს ხვდებოდნენ იაპონიისა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრები გუნდები: სტუმრების წარმომადგენელმა ვ. ნედომანსკიმ ანგარიში გახსნა.

## ჰოკეისტთა სარბიელზე

ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა გაიმარჯვა ანგარიშით 8:2.

წინასწარი ტურნირის მეორე მატჩში შვეციის ჰოკეისტებმა იოლად ხძლიეს იუგოსლავიის ნაკრებს (8:1) და „ა" ჯგუფში თამაშის უფლება მოიპოვეს.

ამ შეხვედრის ერთ-ერთი მსაჯი იყო ნოვოსიბირსკელი ინჟინერი ი. კარანდინი.

როგორც საქდესის კორესპონდენტს ოლიმპიური ტურნირის დირექტორატში საბჭოთა წარმომადგენელმა, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯმა ა. სტაროვოიტოვმა განუცხადა, საბჭოთა დელეგატისა და დირექტორატის ზოგიერთი სხვა წევრის დაჟინებული მოთხოვნით შეჯიბრების ორგანიზატორებმა რამდენადმე შეცვალეს ჰოკეისტთა შეხვედრების განრიგი. წინასწარი ტურნირისგან განთავისუფლებული ოლიმპიური ჩემპიონი — სსრ კავშირის ნაკრები ასპარეზობას 5 თებერვალს დაიწყებს ფინეთის ან ნორვეგიის გუნდთან შეხვედრით. სსრ კავშირისა და შვეციის მატჩი 12 თებერვლიდან გადმოტანილია 7 თებერვლისთვის. 9 და 10 თებერვალს საბჭოთა ჰოკეისტები ეთამაშებიან აშშ — შვეიცარიისა და პოლონეთ — გფრ-ის შესარჩევ მატჩებში გამარჯვებულებს. შვეციისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდები ერთმანეთს 10 თებერვალს შეხვდებიან.

საპორო, 4 თებერვალი. ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებმა ანგარიშით 5:3 მოუგო შესარჩევი მატჩი შვეიცარიის წარმომადგენლებს.

### მხიარული ფანჯრით



სათხილამურო ბილიკი გამრუდდა.

გ. იაშვილის ნახატი.

---

# „საიდუმლო სერობის" ფინალი

თბილისის აეროპორტში საჰაერო ლაინერებს რიგრიგობით ჩამოჰყავდათ დედაქალაქის სტუმრები ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან — ბულგარეთიდან, პოლონეთიდან, რუმინეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან. ჩამოსულებს გულთბილად ხვდებოდნენ ქალაქის ფიზკულტურული ორგანიზაციების წარმომადგენლები, სპორტსმენები. ერთი დღის შემდეგ თბილისის სპორტის სასახლეში სტარტი უნდა აეღო მოჭიდავეთა საერთაშორისო ტურნირს სპორტის დამსახურებული ოსტატის გ. კარტოზიას სახელობის პრიზზე. ჩვენი დედაქალაქის მთავარ სარბიელზე გვიან ღამემდე ოფლს იწურავდნენ სასახლის მუშაკები, რომ დილისთვის ყველაფერი მზად ყოფილიყო სტუმრებისა თუ მასპინძლების მისაღებად. ამ დროს საქართველოს სამხედრო გზაზე მდებარე სასტუმრო „უზბის" რესტორანში ახალგაზრდები ლრეობდნენ. მოქეიფენი ერთმანეთს სიყვარულსა და ერთგულებას ეფიცებოდნენ, სვამდნენ მამულის, პატიოსნებისა და სინდისის სადღეგრძელოს. განსაკუთრებით აქტიურობდა მათგან ყველაზე უფროსი, რომელსაც მკერდზე სპორტის დამსახურებული ოსტატის ნიშანი ეკეთა. როცა ინათა, მეინახეთა მთელმა შემადგენლობამ ავტობუსში მოიკალათა და მანქანამ მცხეთისკენ აიღო გეზი. აქ გემრიელ ხაშს არაყი დააყოლეს, გულის ამაჩუყებელი სიტყვები წარმოთქვეს, ერთმანეთს შეჰფიცეს, რომ საერთაშორისო ტურნირს არ გაეკარებოდნენ, უკან დაბრუნდნენ და დედაქალაქში მიმოიფანტნენ.

ამ დროს თბილისის სპორტის სასახლესთან ავტობუსები გაჩერდა და საერთაშორისო ტურნირის მონაწილე მოჭიდავეები ასაწონად დარბაზში შევიდნენ. აქ იყო ყველა, ქართველ ფალავანთა გამოკლებით. ასპარეზობის ორგანიზატორებმა ბევრი იცადეს, მაგრამ ამაოდ. 12 საათისთვის დანიშნული ტურნირი საღამოსთვის გადადეს. საქმეში კომპეტენტური ორგანოებიც ჩაერივნენ, მაგრამ ჩვენი რესპუბლიკის მოჭიდავეები ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ვერავინ გაიგო. იძულებული შეიქნენ თბილისის სხვადასხვა უბანში ეძებნათ უფრო გამოუცდელი, მაგრამ პერსპექტიული მოჭიდავეები. აღიარებულთა ნაცვლად მათ უნდა მიეღოთ მონაწილეობა შეჯიბრებაში, თორემ ამ კარგ ღონისძიებას, ყველასთვის საყვარელი სპორტსმენისთვის მიძღვნილ ტურნირს ჩაშლა ემუქრებოდა.

ყოველივე გაკეთდა იმისთვის, რომ საერთაშორისო შეჯიბრება მაღალ დონეზე ჩატარებულიყო, ყველაფერი ილიენს, რომ სტუმრებიც, მასპინძლებიც, მაყურებლებიც კმაყოფილი დარჩენილიყვნენ. მართლაც ასე იყო. რესტორან „უზბაში" მოქეიფე „ფალავნები" კი არსად ჩანდნენ. ერთ დღეს ხმა დაირხა, სპორტის სასახლის ერთ-ერთი ტრიბუნის ბოლო რიგებში სხედანო. თუ ასე იყო, მათი მიზანი მხოლოდ ის იქნებოდა, რომ თავიანთი თვალით ენახათ საერთაშორისო ტურნირის ჩაშლა. ასე რომ არ მოხდა, ალბათ გაწბილებულებმა დატოვეს სასახლე.

ასპარეზობა თავისი რიგითა და წესით მიმდინარეობდა. ახალგაზრდა, ჯერ გამოუცდელი ჭაბუკები თავდაუზოგავად ებრძოდნენ მათზე გაცილებით ძლიერ მეტოქეებს, ზოგიერთმა მათგანმა თავიც გამოიჩინა და თუ უმრავლესობამ სანუკვარ მიზანს ვერ მიაღწია, ეს არაფერია. გაივლის ერთი-ორი წელი და მათზეც ალაპარაკდება სპორტული სამყარო.

ეს უპრეცედენტო შემთხვევაა ჩვენს სპორტში. ამ უსიამოვნო ამბავმა ისე შეაშფოთა რესპუბლიკის სპორტის მოყვარულთა მთელი არმია, განსაკუთრებით, ჭიდაობის გულშემატკივრები, რომ რედაქციას იმ დღეების განმავლობაში მოსვენება არ ჰქონდა. გამუდმებით წკრიალებდა ტელეფონის ზარი, ჩვენი გაზეთის მკითხველები გვთხოვდნენ კონკრეტული პასუხი გაგვეცა მომხდარი ამბის თაობაზე.

და აი, საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტში შეიკრიბნენ რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციების ხელმძღვანელები, სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები, სპორტის ვეტერანები, სპორტსმენები. დარბაზის ერთ კუთხეში ისხდნენ „საიდუმლო სერობის" მონაწილენი, საქართველოს „კლასიკოსთა" ნაკრების ახლა უკვე ყოფილი წევრები. ვერც ერთმა მათგანმა თავი ვერ იმართლა, რაღაც მიკიბ-მოკიბეს, რითაც რესპუბლიკური კომიტეტის გაფართოებული კოლეგიის სხდომის მონაწილეთა წყრომა დაიმსახურეს. ერთმანეთს ცვლიდნენ ფიზკულტურული მუშაკები, ღვაწლმოსილი ადამიანები, სპორტის ცნობილი ვეტერანები, რომლებიც მიწასთან ასწორებდნენ ულირს სპორტსმენებს.

სპორტის დამსახურებულ ოსტატს ოთარ ქორქიას ორი სიტყვის შემდეგ უკვე თვალებზე ცრემლი მოადგა. ალბათ გაახსენდა ჰელსინკის ოლიმპიური თამაშები, როცა ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებ გუნდთან მატჩის დროს ხელის მტევანი დაუშავდა, მაგრამ, საშინელი ტკივილის მიუხედავად, მამაცურად ებრძოდა მეტოქეს თანამემამულე ნოდარ ჯორჯიკიასთან ერთად. რაც ღირდა თუნდაც სპორტის დამსახურებული ოსტატების ნინო დუმბაძის, ბორის პაიჭაძის, მამია ჟღენტის, ვახტანგ ბალავაძის, ნოდარ ჯორჯიკიას, დავით ციმაკურიძის გულში ჩამწვდომი სიტყვები. ეს უკანასკნელი ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობდა და თავისუფალ მოჭიდავეთა ტურნირის პირველივე შეხვედრაში მსაჯებმა მას უმართებულოდ ჩაუთვალეს წაგება. მაგრამ დავითი ამან როდი შეაკრთო, გული როდი გაუტეხა, პირიქით, გადაწყვეტილებას მამაცურად შეხვდა, შემდეგ წარმატებით იასპარეზა და საპატიო კვარცხლბეკის ყველაზე მაღალ საფეხურზე შედგა ფეხი. სხვანაირად არც შეიძლებოდა. ციმაკურიძე ხომ საბჭოთა სპორტის, ჩვენი რესპუბლიკის სახელს იცავდა და არც შეეძლო, მორალური უფლება არ ჰქონდა სხვანაირად მოქცეულიყო. გამოდიოდნენ ადამიანები, რომლებმაც თავიანთი მხრებით ზიდეს ქართული სპორტის დიდების ტვირთი. რამდენი გასაჭირი შეხვედრიათ, მაგრამ არასოდეს უღალატნიათ ეროვნული საქმისთვის, რომელსაც წლების მანძილზე პირნათლად, წარბშეუხრელად და უმწიკვლოდ ემსახურებოდნენ.

და აი, საქართველოს მოჭიდავეთა ერთმა ჯგუფმა ჩირქი მოსცხო ჩვენ სპორტს და ამით საყოველთაო ზიზღი გამოიწვია. მაგალითად, დ. გვანცელაძე თურმე განაწყენებული ყოფილა, რატომ ზედმეტად თავს არ მევლებიანო.

გვანცელაძემ და მისმა თანამოაზრეებმა დაიმსახურეს ზიზღი და გაკიცხვა. დაიმსახურეს იმით, რომ ვიწრო ინტერესებზე, რაღაც ანგარიშსწორების ნიადაგზე გაყიდეს მამულის სიყვარული, სინდისი და პატიოსნება.

ავისმქნელები ღირსეულად დაისაჯნენ: საქართველოს ნაკრები გუნდის ყოფილ წევრებს, მის უფროს მწვრთნელს დ. გვანცელაძეს აეკრძალათ საერთოდ სპორტის დარგში საქმიანობა, მოეხსნათ სპორტული წოდებანი: სპორტის დამსახურებული ოსტატისა — დ. გვანცელაძეს, საერთაშორისო კლასის საპატიო ოსტატებისა— თ. მაჭავარიანსა და ო. ტატიშვილს, სპორტის ოსტატისა — თ. ჯაოშვილს, მ. გოგოლაშვილს, გ. გუდაძეს, ბ. ლეკვეიშვილს, გ. გოგნაძეს, თ. სირბილაძეს, გ. ჰელიაძეს, ე. გოგლიჩიძეს, მ. ჩიბურდანიძეს, შ. მორჩილაძეს, ე. ლუდუშაურს, სპორტის ოსტატობის კანდიდატისა — დ. ნოზაძეს.

რესპუბლიკის კლასიკური სტილის მოჭიდავეთა ნაკრებ გუნდში აღმზრდელობითი მუშაობის დაბალი დონისთვის, რამაც გამოიწვია მორალურ-ნებელობითი თვისებების მკვეთრი დაქვეითება მოჭიდავეთა შორის, სასტიკი საყვედური გამოეცხადათ გუნდის მწვრთნელებს პ. იორდანიშვილსა და ლ. კაპიტანოვს, ხოლო საყვედური — შეკრების უფროსს გ. ლვინიაშვილს.

აი, ასეთი იყო რესტორან „უზბაში" იმ საბედისწერო „საიდუმლო სერობის" ფინალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხერხი სჯობია ღონესა...

„ბალავაძე, რომელიც სხვებს არ ჰგავს“ — ასეთ წინადადებას ხშირად ამოიკითხავდით ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე. დიახ, ის სხვებს არ ჰგავდა. ის იყო ვახტანგ ბალავაძე და ამით თითქმის ყველაფერი იყო ნათქვამი. თითქმის...

დასავლეთ საქართველოს სოფელი ღანირი. აქ დაიბადა და გაიზარდა მსოფლიოში სახელგანთქმული ფალავანი, რომელმაც არანაკლებ ასახელა საქართველო, ვიდრე ასახელებდა გამოჩენილი მწერალი, მეცნიერი, ინჟინერი. ერთი მეგობარი მიამბობდა, რომ თურქეთსა და ირანში ოჯახებში ვახტანგ ბალავაძის სურათებია გაკრული. ეს კიდევ არაფერი. ამ რამდენიმე ხნის წინათ თბილისს ესტუმრა ირანის კალათბურთელთა ახალგაზრდული გუნდი. თითქოს რა კავშირი აქვს ერთმანეთთან კალათბურთსა და ჭიდაობას, მაგრამ სპარსელ კალათბურთელებს ერთი სული ჰქონდათ ენახათ უკვე ლეგენდად ქცეული ქართველი ფალავანი. ისინი წუხდნენ, ვაი თუ არ მოგვეცეს შესაძლებლობა ბალავაძესთან შეხვედრისო. მათ თავაზიანად აუხსნეს, რომ წარსულში განთქმული მოჭიდავე ახლა სახელმწიფო მოღვაწეა, საქართველოს ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეა, თავისუფალი დრო ძალიან ცოტა აქვს და შესაძლებელია ეს შეხვედრა ვერც შედგესო. ვ. ბალავაძემ მოუცლელობის მიუხედავად მაინც შეძლო ესაუბრა ირანელ კალათბურთელებთან.

ჟურნალ „ამერიკის“ ერთ-ერთი ნომრის მთელი გვერდი შავულვაშიანი, მოცინარი ვაჟკაცის სურათს უჭირავს. ოთხი თუ ხუთი ტანმაღალი, ქერათმიანი ამერიკელი ბავშვი სიყვარულით „ჩაფრენია“ ჭიდაობის „პროფესორს“. წარწერა: „ამერიკელ მოზარდებს სურთ გაიგონ ქართველი მოჭიდავის მაგიური ძალა. ისინი ყველაფერს მისცემდნენ, რათა მომავალში ერთხელ მაინც ეჭიდავათ ვახტანგ ბალავაძესავით“.

სტამბოლში ცხოვრობს ოგანი, მოჭიდავე, ვისი სახელიც თავის დროზე ქუხდა. „ოგანს ტოლი არ ჰყავს მსოფლიოში“, „ოგანი პირველია ყველასთან“. ასე წერდნენ იმდროინდელი თურქული გაზეთები. ვის შეეძლო გაექარწყლებინა ეს მტკიცე რწმენა, ვის შეეძლო დაებრკოლებინა უძლეველი თურქის იერიში? ასეთი არავინ იყო, ვიდრე უფრო ძლიერი ფალავანი არ შეხვდა. ეს გახლდათ ვახტანგ ბალავაძე. ვახტანგის მხარეზე იყო მშობლიური სოფელი ღანირი, ნესტორ ესებუა, კუკლა გლდანელი, სანდრო კანდელაკი, ყველაფერი, რაც კი ქართულ ჭიდაობას ასე ამშვენებს და ლამაზს ხდის, ერთი სიტყვით, ჩვენი ჭიდაობის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება. ვახტანგს არ ჰქონდა სტამბოლში პრინციპული შეხვედრის წაგების უფლება. მას არც წაუგია ეს ბრძოლა. ოგანისა და ბალავაძის ჭიდაობა ფრედ დამთავრდა. ფრეც არის და ფრეც. რას არ აკეთებდა ოგანი, რომ გაეტეხა ქართველი ფალავნის სიმტკიცე. მით უმეტეს, იგი ჭიდაობდა თავის მშობლიურ ქალაქში. ჭიდაობა არ მიეკუთვნება სპორტის „ნაზ“ სახეობას, მაგრამ ოგანის შესრულებით იგი უფრო კეტჩს ჰგავდა. აქ იყო მუჯლუგუნები, ფეხბურთისთვის დამახასიათებელი თავური დარტყმები, კრივის ილეთები... არა, მაინც ვერაფერმა გატეხა ქართველი ვაჟკაცის სულისკვეთება. ოგანმა არაადამიანური გამეტებისა და თავგანწირვის ფასად მხოლოდ ფრეს მიაღწია. ეს მისთვის წაგების ტოლფასი იყო. იგი მსოფლიო ჩემპიონატის კვარცხლბეკზე ქვემოდან შეჰყურებდა ჩემპიონად აღზევებულ ჩვენს სახელოვან ფალავანს. ეს მოხდა 1957 წლის მსოფლიო ჩემპიონატში.

პირველი, ვინც ვ. ბალავაძეს უცხოელთაგან მიულოცა ბრწყინვალე გამარჯვება, თურქი აკბასი იყო. არ გეგონოთ, რომ ეს მილოცვა შემთხვევითი ყოფილიყოს. ხომ გაგიგონიათ, გულს გული იცნობსო... აკბასი და ბალავაძე არასდროს შეხვედრიან ერთმანეთს საჭიდაო ხალიჩაზე. თურქი უმჩატესი წონის მოჭიდავე იყო, ქართველი ფალავანი მუდამ ქვესაშუალო წონით კატეგორიაში გამოდიოდა. თითქოს რა ჰქონდათ საერთო არა მარტო განსხვავებული წონითი კატეგორიების, არამედ სხვადასხვა ტემპერამენტისა და მისწრაფების მოჭიდავეებს? და მაინც მათ ბევრი რამ ამეგობრებდათ. ერთიცა და მეორეც ჭიდაობისთვის იყო დაბადებული, ერთიცა და მეორეც მხოლოდ რაინდულ პაექრობას სცნობდა. ორივე დაიჩაგრა მელბურნის ოლიმპიადაში, სადაც „მხოლოდ“ ბრინჯაო მოიხვეჭეს. ეს მაშინ, როცა ბალავაძე და აკბასი ჯერ კიდევ 1954 წელს ტოკიოს მსოფლიო ჩემპიონატის ლაურეატები იყვნენ. ფორტუნამ ზურგი შეაქცია მათ მელბურნში. აკბასი მაშინ ბავშვივით ტიროდა. არც ბალავაძე იყო კარგ გუნებაზე, მაგრამ მაინც იპოვა დასამშვიდებელი სიტყვები: „არაფერია, ჰუსეინ, ჩვენ კიდევ ავიღებთ რევანშს“. სტამბოლში აკბასიცა და ბალავაძეც ჩემპიონატის საუკეთესო ფალავნებად აღიარეს. აი, რა ბედნიერად ახდა ვახტანგის წინასწარმეტყველება. აი, რატომ ეხვეოდა ასეთი ძმური სიყვარულით ქართველ „გულთმისანს“ თურქი აკბასი.

...ბალავაძე ამბობს:

— პატარა ბიჭი ვიყავი, როცა ჩვენს სოფელში ჩამოვიდა მოჭიდავე და ძალოსანი ლავრენტი კახეთელიძე. მართალი გითხრათ, მანამდე ნამდვილი მოჭიდავე თვალითაც არ მენახა. და აი, კახეთელიძე, თვით ლავრენტი კახეთელიძე გამოგვეცხადა... ღანირში. მთელმა სოფელმა მოიყარა თავი სარბიელზე. უშველებელი ვაჟკაცი იყო. ღანირში აბა ვინ დაეჭიდებოდა კახეთელიძეს. რაღაც ლექციის მსგავსი საუბარი გამართა. ახლაც მახსოვს, ამბობდა: ღონით ღმერთს არ დავუჩაგრივარ, მაგრამ დამიჯერეთ, ხერხი სჯობია ღონესაო... ამას გვეუბნებოდა კახეთელიძე და თან „სპარინგ-პარტნიორთან“ ჭიდილში დაადასტურა საკუთარი მოსაზრების ჭეშმარიტება. ჩვენს განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა. ჩამაშორეთ ჩემს მონაყოლს ის გულუბრყვილობა, რომელიც ადრეულ სიყმაწვილეს მუდამ ახლავს, და მიხვდებით, რომ კახეთელიძის ენით მაშინ ჭეშმარიტება ლაპარაკობდა. მისი სიტყვები მარტო სიჭაბუკის წლებში კი არა, მთელი საჭიდაო კარიერის მანძილზე გამყვა.

ასე გაიგო პირველად შავტუხა, ხმელ-ხმელმა ყმაწვილმა ჭიდაობის უპირველესი სიბრძნე. მერე და მერე მას კიდევ რამდენიმე მასწავლებელი ჰყავდა, ვინც საფალავნოდ დაბადებულ ჭაბუკს გააგებინა არა მარტო ჭიდაობის ყადრი, არამედ ცხოვრების ავ-კარგიც. ბევრი რამ სჭირდება მომავალ მსოფლიო ჩემპიონს იმისთვის, რომ დასძლიოს ყველანაირი დაბრკოლება: მოულოდნელი მარცხიც, „მოუხერხებელი“, ზოგჯერ ცბიერი და ვერაგი მეტოქეებიც, მსაჯების უსამართლობაც, წონის დაკლების პრობლემაც და ვინ ვინ მოთვლის კიდევ რამდენი რამ!

ეს გზა იოლი არ ყოფილა. მის გავლას მთელი შვიდი წელი დასჭირდა. 1954 წლისთვის ბალავაძე უკვე ყველას სჯობდა მსოფლიოში, მაგრამ ეს ქართველ მოჭიდავეს საქმით უნდა დაემტკიცებინა. და აი, მას ტოკიოს მსოფლიო ჩემპიონატში მხოლოდ ერთი ნაბიჯი აშორებს პლანეტის უძლიერესი ფალავნის წოდებისგან. ძნელია, ძალიან ძნელია სწორედ ბოლო, გადამწყვეტი შეხვედრის მოგება. შორს არის ტოკიოს საჭიდაო სარბიელიდან ღანირი, შორს არიან ნათესავები, ნაცნობ-მეგობრები... იაპონელი კანეკო კი მშობლიურ ქალაქშია, ათასობით გულშემატკივრით გარსშემოხვეული. ასეთ შემთხვევაში მეტწილად მასპინძელი იმარჯვებს. მაგრამ არც სტუმარი იყო ჯაბანი. ბალავაძემ კანეკოსთან ჭიდილი დაიწყო ისე, როგორც ყოველთვის სჩვეოდა: ჯიქურ, მხრებგაშლილმა, ყოველგვარი ცბიერებისა და სპორტული „თაღლითობის“ გარეშე.

— იაპონელმა ისარგებლა ჩემი ჭიდაობის ეგრეთ წოდებული დია მანერით და მსწრაფლ წელში შემივარდა. უნდა გითხრათ, ძნელია ასეთ მდგომარეობაში დამარცხებისგან თავის დაღწევა. როგორღაც მოვახერხე... კანეკო დაწინაურდა. მოხდა ის, რასაც მოველოდი. ჩემი მეტოქე იმ წუთიდან ბრძოლისთვის თავის არიდებას ცდილობდა. რა უნდა მექნა? მივდიოდი რისკზე, ვცდილობდი დამებრუნებინა დაკარგული ქულები, მაგრამ ამაოდ. კანეკო სულ გარბოდა და გარბოდა. ვიფიქრე, ასე ვერასდროს დავიჭერ-მეთქი და ალბათ პირველად და უკანასკნელად ასეთ ხერხს მივმართე: თავი დავანებე კანეკოს დაუსრულებელ დევნას და ყასიდად ჭიდაობის პასიური ტაქტიკა ავირჩიე — ვითომ დავიღალე და პაექრობის თავი აღარ მქონდა. კანეკოს ენთუზიაზმი მოემატა და იერიშზე წამოვიდა. მეც ეს მინდოდა: გაჩაღდა ნამდვილი ბრძოლა. აღმოჩნდა, რომ პატიოსან ორთაბრძოლაში კანეკო ისეთი ძლიერი არ ყოფილა, როგორც საჭიდაო ხალიჩის მიღმა გამოიყურებოდა. მან წააგო გადამწყვეტი შეხვედრა და მერე ვერაფრით ეპატიებინა თავისთვის გაუმართლებელი რისკი.

ტოკიოს სარბიელზე წმინდად დამარცხებულ კანეკოს ნუგეშად ალბათ ისღა დარჩენოდა, რომ წააგო მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ფალავანთან. ამ ათლეტს ყველასგან გამოარჩევდა ჭიდაობის მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მანერა, უაღრესად მრავალფეროვანი ტექნიკური არსენალი, რაც შეიძინა ფალავნების კლასიკურ ქვეყანაში — საქართველოში. სწორედ ქართული ჭიდაობის ფანდები იყო ვახტანგის უპირველესი მოკავშირე, სწორედ ამ დალოცვილი საუნჯის შნო და ლაზათი ახლდა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის საჭიდაო სარბიელზე. მისი მეტოქეებისთვის ბოლომდე გამოუცნობი დარჩა ტრადიციული ქართული სარმა და შუაკაური, რომლებსაც ასე კარგად ფლობდა ეს უებრო ფალავანი.

ა. გოგელია.

• • •



ს უ რ ა თ ზ ე: ხალიჩაზეა ვახტანგ ბალავაძე (მარჯვნივ).

## მასპინძელთა გამარჯვებით

კიევი, 3 თებერვალი. აქ მოეწყო ზამთრის საკავშირო შეჯიბრების პროგრამით გათვალისწინებული შეხვედრა რსფსრ-სა და საქართველოს ჩოგბურთელთა ნაკრებ გუნდებს შორის. პირველ დღეს, როცა მატჩი შეწყდა, ანგარიში იყო 2:2. გადადებული შეხვედრის დამთავრებისას რუსეთის ფედერაციის კოლექტივმა გაიმარჯვა — 5:3 (როგორც იცით, საქართველოს ნაკრებს აკლდა ავსტრალიაში მყოფი ა. მეტრეველი) და ნახევარფინალის საგზურიც მოიპოვა. ამ ეტაპზე მისი მეტოქე იყო მოსკოვის ნაკრები, მაგრამ, იმის გამო, რომ საქართველო — რსფსრ-ს შეხვედრამ ორ დღეს გასტანა, ნახევარფინალური მატჩის ჩატარება დაგვიანდა. გუშინ ისიც გაიმართა. მოსკოველებმა „მშრალი“ ანგარიშით (6:0) გაიმარჯვეს.

დღეს მოეწყო ფინალური შეხვედრა. უკრაინის ნაკრებმა დაამარცხა მოსკოველთა ძლიერი გუნდი (5:3) და I ადგილიც დაისაკუთრა.

## ფედერაციათა კონფერენციებზე

გაიმართა აჭარის ფეხბურთის ფედერაციის კონფერენცია, რომელზეც მოხსენებით გამოვიდა ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ხვიჩია.

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი.

კონფერენციამ აჭარის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ კვლავ აირჩია ლ. ხვიჩია, მოადგილედ — ა. ელიავა, პასუხისმგებელ მდივნად — ი. კუსიდი.

გაიმართა, აგრეთვე, ბათუმის ფეხბურთის ფედერაციის ანგარიშგება-არჩევნები. ბათუმის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარედ არჩეულია ა. კალანდაძე, პასუხისმგებელ მდივნად — კ. კარამატოზიანი.

ო. მურვანიძე.

ბათუმი. (ჩვენი კორ.).

## მინი-ფეხბურთი შუა ზამთარში

სპორტის მოყვარულებმა კარგად იციან, რომ თბილისის სპორტის სასახლეს ტრადიციული შეჯიბრება აქვს დაწესებული ნორჩ ფეხბურთელთათვის: საქალაქო გუნდების ტურნირი „მინი-ფეხბურთში“.

ეს შეჯიბრება ყოველ წელს საინტერესო, დაძაბულ ბრძოლებში მიმდინარეობს. ასეთივე საინტერესო გამოდგა წლევანდელი, რიგით მეხუთე ტურნირიც, რომლის დასკვნითი, ფინალური მატჩები 3 თებერვალს გაიმართა. ის, ვინც განვლილ დღეებში თვალს ადევნებდა ნორჩთა ბრძოლას სასახლის სარბიელზე, ძალიან კმაყოფილი დარჩა, ხოლო მათ მიმართ, ვინც ეს თამაშები გააცდინა, შეგვიძლია ვთქვათ მხოლოდ ის, რომ ისინი დააკლდნენ მეტად საინტერესო სანახაობას და სამერმისოდ უნდა დაიმახსოვრონ, რომ აღარ გამოტოვონ ნორჩ ტალანტთა ეს საყურადღებო დათვალიერება.

შეჯიბრება მიმდინარეობდა ორ ასაკობრივ კატეგორიად — 11-12 და 13-14 წლის ბიჭებს შორის.

უმცროსი ასაკის გუნდებში სპორტის სასახლის თასი გათამაშდა „კოლხეთსა“ (განათლების განყოფილების სპეციალიზებული სკოლა, მწვრთნელი გ. მამალაძე) და „ისნის“ („განთიადის“ სპორტსკოლა, მწვრთნელი ვ. რამიშვილი) შორის. დაძაბულ ბრძოლაში წარმატება წილად ხვდათ კოლხეთელებს — 3:2. III ადგილი მოიპოვა „ბელურამ“ (განათლების განყოფილების სპეციალიზებული სკოლა, მწვრთნელი ი. შუდრა).

უფროს ასაკში თავი გამოიჩინა „ცისკარმა“ (განათლების განყოფილების სპეციალიზებული სკოლა, მწვრთნელი თ. მელაშვილი), რომელმაც ფინალურ მატჩში ანგარიშით 3:0 დაამარცხა „ვარძია“ („ლოკომოტივი“, მწვრთნელი გ. მუმლაძე). III ადგილის მფლობელი გახდა „ავაზა“ (რესპუბლიკური საფეხბურთო სკოლა, მწვრთნელი მ. მესხი).

ტურნირში დაწესებული იყო სპეციალური პრიზები. ყველაზე ტექნიკურ გუნდად მიჩნეული იქნა „ავაზა“. იგი დაჯილდოვდა საქართველოს ტელევიზიის პრიზით. ყველაზე ტექნიკური ფეხბურთელიც ამ კოლექტივის წევრი აღმოჩნდა — გ. ომიაძე, რომელსაც გადაეცა გაზეთ „მოლოდინოე გრუზიის“ პრიზი.

რადიომაუწყებლობის საბავშვო გადაცემათა პრიზით დაჯილდოვდა ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი მ. ხავთასი („ისანი“), ხოლო გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ ჯილდო მიიღო „კოლხეთის“ წარმომადგენელმა ზ. ჰუმბურიძემ, როგორც ტურნირის ყველაზე ნორჩმა მონაწილემ.

კ. გლურჯიძე

• • •

**ს უ რ ა თ ე ბ ზ ე:** მარცხნივ — **უფროსი ასაკის გუნდებს შორის გამარჯვებული „ცისკარი“ (მარცხნივ — გუნდის მწვრთნელი, სპორტის ოსტატი თ. მელაშვილი);** მარჯვნივ — **უმცროს ასაკში გამარჯვებული „კოლხეთი“ (მარცხნივ — გუნდის მწვრთნელი, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი გ. მამალაძე).**

გ. დოლენჯაშვილის ფოტოები.





## მოგვილოცავს...

აჭარაში ფეხბურთის განვითარებაში დამსახურებისთვის, დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით დაჯილდოვდა საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი ა. ელიავა.

• • •

აჭარაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაში დამსახურებისთვის, დაბადების 50 წლისთავთან დაკავშირებით, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდა „დინამოს“ საოლქო საბჭოს თავმჯდომარე გ. ურუშაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სსრ კავშირის ჩემპიონატები



# კვლავ დასანანი წაგება

გუშინწინ გაიმართა ერთი მატჩი. კიევი. ადგილობრივმა არმიელებმა თბილისის „ბურევესტნიკს“ უმასპინძლეს. ორივე გუნდი საშიშ ზონაშია და მათს ორთაბრძოლას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მთელი მატჩის მანძილზე ვერც ერთმა მხარემ ვერ მოახერხა საგრძნობლად დაწინაურება და ყოველივე მატჩის ბოლო წამებზე გადაწყდა, როცა მასპინძლები ქულით იყვნენ წინ. თბილისელებს ბურთი ხელთ ჰქონდათ, მაგრამ მათ ვერ შეძლეს გადამწყვეტი ორი ქულის აღება და საბოლოოდ დამარცხდნენ — 59:60.

ეს უკვე მესამე მატჩია, როცა თბილისელები ერთი ან ორი ქულის სხვაობით აგებენ.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 4 თებერვლისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი“ (ლენინგრადი) | 9 | 9 | 0 | 653-571 | 9 |
| ცსკა | 8 | 7 | 1 | 704-538 | 7 |
| „კალევი“ (ტარტუ) | 7 | 5 | 2 | 526-508 | 5 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 8 | 4 | 4 | 627-620 | 4 |
| „ჟალგირისი“ (კაუნასი) | 9 | 4 | 5 | 696-684 | 4 |
| „სტროიტელი“ (კიევი) | 7 | 3 | 4 | 505-471 | 3 |
| „დინამო“ (თბილისი) | 7 | 3 | 4 | 520-572 | 3 |
| ასკ (კიევი) | 8 | 3 | 5 | 542-601 | 3 |
| „ბურევესტნიკი“ (თბილისი) | 8 | 2 | 6 | 535-594 | 2 |
| „სტატიბა“ (ვილნიუსი) | 9 | 0 | 9 | 609-768 | 0 |

● ●

# სტატისტიკოსის ბლოკნოტში

მოსკოვის ოლქის ქალაქ ელექტროსტალში დამთავრდა კალათბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრე. გაგაცნობთ იმ შეხვედრათა ტექნიკურ შედეგებს, რომლებიც ჩვენს გაზეთში არ გამოქვეყნებულა. მეოთხე დღე: „ინჟდორსტროი“ (კიშინიოვი)— „სპარტაკი“ (მოსკოვი) 66:70; მეხუთე დღე: „სერპ ი მოლოტი“ (მოსკოვი)— „პოლიტექნიკა“ (კაუნასი) 60:47, „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი) 56:40, „დინამო“ (კიევი) — ტტტ (რიგა) 41:74, „დინამო“ (მოსკოვი) — „სპარტაკი“ (ლენინგრადი) 56:71, „სპარტაკი“ (მოსკოვის ოლქი) — „ინჟდორსტროი“ 67:62, „კიბირკშტისი“ (ვილნიუსი) — „უნივერსიტეტი“ (ალმა-ათა) 70:61; მეექვსე დღე: „სერპ ი მოლოტი“ — „ურალმაში“ 50:56, „დინამო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (კიევი) 48:71, „უნივერსიტეტი“ — „ინჟდორსტროი“ 66:52, „სპარტაკი“ (მოსკოვის ოლქი) — „კიბირკშტისი“ 46:48, „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „პოლიტექნიკა“ 55:87.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა პირველი წრის შემდეგ

| | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|
| ტტტ | 11 | 0 | 11 |
| „სპარტაკი“ (ლენინგ.) | 9 | 2 | 9 |
| „კიბირკშტისი“ | 9 | 2 | 9 |
| „სპარტაკი“ (მოსკ. ოლქი) | 8 | 3 | 8 |
| „დინამო“ (კიევი) | 7 | 4 | 7 |
| „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 4 | 7 | 4 |
| „უნივერსიტეტი“ | 4 | 7 | 4 |
| „ურალმაში“ | 4 | 7 | 4 |
| „სერპ ი მოლოტი“ | 3 | 8 | 3 |
| „ინჟდორსტროი“ | 3 | 8 | 3 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 2 | 9 | 2 |
| „პოლიტექნიკა“ | 2 | 9 | 2 |

# უცხოეთის ფეხბურთის ამბები



## ფეხბურთი... ევერესტის ძირში

ასეთ სიმაღლეზე, ცხადია, აქამდე არავის უთამაშია ფეხბურთი. მაგრამ ახლა თავისებური რეკორდი დამყარდა. ჰიმალაიში მყოფმა არგენტინის ექსპედიციამ მატჩში გამოიწვია ნეპალის გუნდი. ფამაშს ესწრებოდნენ შერპები და ტიბეტის მონასტერ ტიან-გბოხეს ბერები.

არგენტინელებმა გაიმარჯვეს — 3:0.

# მოკლედ

● ჰამბურგი. „ბოლო ხუთ წელიწადში ეს პირველი შემთხვევაა, რომ „ჰამბურგერ შპორტფერაინმა“ (უ. ზეელერის კლუბმა) ფინანსური წელი მოგებით დაამთავრა“, — იუწყებიან გფრ-ის მიმომხილველები. უწინ მას მუდამ მძიმე დეფიციტი ჰქონდა, ახლა კი 62 ათასი მარკა მოგება დარჩა.

● მიუნხენი. 25 დღის პატიმრობა და 500 მარკა ჯარიმა მიესაჯა ერთ მაყურებელს, რომელიც ფეხბურთის მატჩის დროს მინდორზე დამპალ ხილს ისროდა.

● ჰამბურგი. აქ იღებენ ფილმს, რომელსაც „ჩვენი უვე“ ჰქვია. იგი გამოჩენილი თავდამსხმელის უ. ზეელერის სპორტულ კარიერას ეძღვნება.

● ბოლონია. ახლა აქ ერთობ უკმაყოფილო არიან „ბოლონიის“ მეკარეთ ე. ფაბრით (იტალიის ნაკრების ყოფილი მეკარე), თუმცა, 1970 წლის დასასრულს მას სპეციალური ჯილდოც კი გადაეცა, როგორც I ლიგაში ყველაზე ნაყოფიერად მომუშავე სპეციალისტს. მაგრამ ფეხბურთში უწინდელ დამსახურებას, როგორც წესი, იოლად ივიწყებენ. ახლა „ბოლონიამ“ ზედიზედ 5 მატჩი წააგო, რაც უნიკალური შემთხვევაა ამ ცნობილი კლუბის პრაქტიკაში.

● ბუდაპეშტი. გარდაიცვალა სახელოვანი უნგრელი ოსტატი, ლეგენდარული „დიდი გუნდის“ მარცხენა ნახევარმცველი ი. ზაქარიაში, რომელიც სულ 47 წლისა იყო. დასაფლავებას დაესწრნენ ზაქარიაშის თანაგუნდელები გროშიჩი, ჰიდეგკუტი, ბოჟიკი და ათასობით გულშემატკივარი.

# ბრძოლა მწვავდება

საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა ჩემპიონატის ნახევარფინალში, რომელიც სამტრედიის საჭადრაკო კლუბში მიმდინარეობს, კიდევ ორი (IV და V) ტური გათამაშდა. ამ ტურებში ლიდერები შეხვდნენ ერთმანეთს.

ქუთაისელმა ა. რაზოვსკიმ ჯერ რ. შანიძეს (სამტრედია) მოუგო, მეორე დღეს კი ბათუმელ ლ. ნეურონოვს სძლია. მ. არჩვაძემ (სამტრედია) ნეურონოვთან „დიდოსტატური ყაიმის“ შემდეგ მ. ნოდია (ცხაკაია) დაამარცხა.

წარმატებით იბრძვის ზუგდიდელი გ. შოგირაძე. V ტურში მან მოუგო თ. გახოკიძეს (აბაშა), ხოლო წინადღის შეხვედრა მახარაძელ რ. კეჟეყმაძესთან უპირატესობით გადადო.

აფხაზეთის ჩემპიონმა ა. ტუზოვსკიმ მნიშვნელოვანი ქულა ჩაიწერა რ. კაპანაძესთან (წყალტუბო) მოგებით. წულუკიძელ გ. ჰელიძესთან ტუზოვსკის გადადებულ პარტიაში პოზიციური უპირატესობა აქვს.

სამტრედიის ჩემპიონმა ა. მაჩიტაძემ 1,5 ქულა მოაგროვა: მოუგო ჰელიძეს და ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ნოდიასთან.

5 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან: მ. არჩვაძე, ა. რაზოვსკი — 4-4 ქულა, გ. შოგირაძე — 3,5 ქულა და 1 გადადებული პარტია, რ. კაპანაძე — 3,5 და ა. ტუზოვსკი — 3 (1).

ნ. სოროკინი,
ნახევარფინალის მთავარი არბიტრი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი, სპორტის ოსტატი.
(ჩვენი სპეც. კორ.).
სამტრედია.

## გორის ჩემპიონი

გორის მოჭადრაკე ვაჟთა ჩემპიონატს, რომელიც ორიოდე დღის წინ დამთავრდა, ნახევარფინალური ტურნირი უსწრებდა წინ. ფინალში თამაშის უფლებისთვის 36 მოჭადრაკე იბრძოდა.

ფინალში მონაწილეობდა 3 ოსტატობის კანდიდატი, 10 პირველთანრიგოსანი და 7 მეორეთანრიგოსანი. ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა ოსტატობის კანდიდატმა გ. მუკნიაშვილმა — 17 ქულა. II ადგილი ხვდა პირველთანრიგოსან ი. ჯაფიაშვილს — 15. III— პირველთანრიგოსან გ. გვერდწითელს—14.

ო. დოლიძე,
პირველთანრიგოსანი მოჭადრაკე.
გორი.

## მაცოლას 100 გოლი

გამოჩენილმა იტალიელმა ფეხბურთელმა ს. მაცოლამ, რომელიც 1960 წლიდან მოყოლებული უცვლელად გამოდის მილანის „ინტერნაციონალეს“ შემადგენლობაში, ამას წინათ „ვერონასთან“ შეხვედრაში თავისი მეასე გოლი გაიტანა. ამ ხნის განმავლობაში მან 264 კალენდარული მატჩი ჩაატარა იტალიის ჩემპიონატებში.

ჩვენმა მკითხველებმა კარგად იციან, რომ მაცოლა დიდი ხნის განმავლობაში ცენტრალური თავდამსხმელი იყო, ახლა იგი ცენტრის მოთამაშეა და, როგორც ჯამთამაშებელს, ბადალი არ ჰყავს იტალიაში.

● ●

## მსოფლიო ჩემპიონის მონაწილეობით

ფრანგულ ფეხბურთში დიდი სენსაციაა: პარიზის კლუბ „პარი-სენ ჟერმენში“ თამაში დაიწყო ბრაზილიის ნაკრების წევრმა ჟოელმა. იგი 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატში თავისი ეროვნული გუნდის სათადარიგო მოთამაშე იყო.

ჟოელი დაიბადა 1944 წელს ქ. სანტოსში. 18 წლისა იგი „სანტოსში“ თამაშობდა პელეს მხარდამხარ. ჟოელი ძალიან ენერგიული ფეხბურთელია და, თუმცა, განაპირა მცველად თამაშობს, ძალიან ხშირად უტევს მეტოქის კარს.



● სტოკჰოლმი, 2 თებერვალი. აქ დამთავრდა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი კლასიკურ ჭიდაობაში — კლიპანის თასის გათამაშება. ხალიჩაზე 8 ქვეყნის წარმომადგენლები გამოდიოდნენ. წონითი კატეგორიების მიხედვით I ადგილებზე გავიდნენ: მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ბერჩიანუ (რუმინეთი), კონსტანტინოვი (სსრ კავშირი), რაჰინსკი (გდრ), მეგრელიშვილი (სსრ კავშირი), ევროპის ჩემპიონი ჰეპფერტი (გდრ), კარლსონი, კარსტრომი (ორივე—შვეცია), მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორები ნიკოლოვი (ბულგარეთი), მარტინესკუ (რუმინეთი), მსოფლიო ჩემპიონი ტომოვი (ბულგარეთი). სსრ კავშირის წარმომადგენლები 8 წონითს კატეგორიაში გამოდიოდნენ და აქედან შვიდში პრიზიორთა შორის მოხვდნენ. II ადგილები დაიკავეს თბილისელმა ბლიაძემ (90 კგ-მდე), ალმაათელებმა ბაკულინმა (57 კგ-მდე), რეზანცევმა (100 კგ-მდე), მოსკოვის ოლქის ათლეტმა იგუმენოვმა (82 კგ-მდე). III ადგილზეა 75 კგ-მდე წონითს კატეგორიაში მოასპარეზე კლინტსონი (რიგა). გუნდური გამარჯვება საბჭოთა კოლექტივს ხვდა — 14 ქულა.

● ტალინი, 3 თებერვალი. ასუჯრიან შაშში მსოფლიო პირველობაზე ა. ანდრეიკო (რიგა) — ი. კუპერმანის (კიევი) მატჩის X პარტიაც ყაიმით დამთავრდა. ამრიგად, ორთაბრძოლის ანგარიში გახდა 5:5. X პარტია რესპუბლიკის ერთ-ერთ მოწინავე საწარმოში — ტალინის მეფრინველეობის ფაბრიკაში გაიმართა, სადაც ამ ორი სახელოვანი მოშაშის პაექრობას სპორტის მრავალრიცხოვანი მოყვარული ადევნებდა თვალს.

● ვეიკ-ან-ზეე, 3 თებერვალი. მოჭადრაკე ქალთა აქ დამთავრებულ საერთაშორისო ტურნირში I ადგილი დაიკავა ბაქოელმა საერთაშორისო ოსტატმა ტ. ზატულოვსკაიამ. მან 8 ქულა დააგროვა 11-დან. ზატულოვსკაია შეჯიბრების ერთადერთი მონაწილეა, ვინც წაუგებლად ითამაშა. II ადგილზე გავიდა მ. ლაზარევიჩი (იუგოსლავია) — 7,5 ქულა. 6,5-6,5 ქულით III-IV ადგილები გაიყვეს მ. ივანკამ (უნგრეთი) და მ. ტეოდორესკუმ (რუმინეთი).

● პრაღა, 3 თებერვალი. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშება ფრენბურთელ ვაჟთა გუნდებს შორის დასასრულს უახლოვდება. ამ საინტერესო ასპარეზობის სტარტზე 18 ქვეყნის (სსრ კავშირის გუნდი ამჯერად გათამაშებაში არ მონაწილეობს) წარმომადგენლები გამოვიდნენ. ნახევარფინალური მატჩების შემდეგ გამოვლინდა ფინალისტთა ჯგუფი, რომლის წევრებმაც გუშინ დაიწყეს გადამწყვეტი ეტაპი. საბოლოო ბრძოლაში ჩაებნენ „ზბროიოვკა-ზეტორი“ (ჩეხოსლოვაკია), „ფლორენცია“ (იტალია), „დინამო“ (ალბანეთი) და ამვ (ჰოლანდია).

● რიგა, 3 თებერვალი. გუშინ აქ გაიმართა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მეორე მეოთხედფინალური მატჩი: ტტტ (რიგა) — „მარიცა“ (პლოვდივი). რიგელმა კალათბურთელმა ქალებმა ამჯერადაც წარმატებას მიაღწიეს. შეხვედრის ანგარიშია 74:47 (41:26).

● პრაღა, 3 თებერვალი. ლენინგრადის „სპარტაკის“ კალათბურთელ ქალთა გუნდი, რომელმაც აქ გამართულ საპასუხო მატჩში ანგარიშით 70:53 (39:29) დაამარცხა ადგილობრივი „სლავია“, ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების ნახევარფინალში გავიდა. როგორც ცნობილია, ლენინგრადელებმა შინ გამართულ პირველ შეხვედრაშიც გაიმარჯვეს —77:54.

# ახალი ამბები

რედაქტორი მ. კაკაბაძე


თბილისის სპორტის სასახლე



5-6 თებერვალი

საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის ვახტანგ ბალავაძის სახელობის თასზე



მონაწილეობენ: ამერიკის შეერთებული შტატების, ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, იაპონიის, მონღოლეთის, პოლონეთის, რუმინეთის, სსრ კავშირისა და საქართველოს ათლეტები.

დასაწყისი 11 და 18 ს.


ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 8 უე 04433